ოქმი:**ო37.37211641**

თარიღი:**13/06/2021**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს "ღია მმართველობა-პარტნიორობის ადგილობრივი პროგრამის" ფარგლებში 2021 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით მოწვეული სამუშაო ჯგუფის სხდომის

ოქმი N3

2021 წელი, 10 ივნისი

ქ.ოზურგეთი

17.00-18.00

შეხვედრის ადგილი: ონლაინ პლატფორმა

სხდომას თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, გ.ღურჯუმელიძე; ღია მმართველობა პარტნიორობის ადგილობრივი პროგრამის საკონტაქტო პირი, საკრებულოს აპარატის უფროსი - ნანა თავდუმაძე; მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - გია მამაკაიშვილი; მერიის იურდიული სამსახურის უფროსი - ლაშა თავაძე; საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის აღმასრულებელი დირექტორი - ლევან ხინთიბიძე; ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრ „პროგრესის სახლი"-ს გამგეობის თავმჯდომარე - მინდია სალუქვაძე, აღმასრულებელი დირექტორი -ლევან მჟავანაძე; სახელმწიფო მართვის პროგრამის მენეჯერი, USAID-ის პროექტი დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში (GGI) - მიხეილ დარჩიაშვილი; ექსპერტი -დეა ცარციძე;

დღის წესრიგი:

1. „ღია მმართველობა პარტნიორობის" ადგილობრივი პროგრამის ელექტრონულ პლატფორმაზე ოფიციალური განაცხადის წარდგენის მიზნით, შემუშავებული დოკუმენტის - სტრატეგიული ხედვის და სამოქმედო გეგმის განხილვა - დამტკიცება;

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნანა თავდუმაძე

დეა ცარციძე;

2. „ღია მმართველობა პარტნიორობის" ადგილობრივი პროგრამის ფარგლებში ვალდებულებების შესრულების ვადების დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმლიძე

თანამომხსენებელი: ლ.ხინთიბიძე

3. „ღია მმართველობა პარტნიორობის“ ადგილობრივი პროგრამის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, საკოორდინაციო მექანიზმის - სამუშაო ჯგუფის შექმნისა და სამართლებრივი რეგულაციების განსაზღვრის შესახებ;

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე;

ლევან ხინთიბიძე;

4. მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოსა და პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია;

თანამომხსენებელი: მინდია სალუქვაძე;

გადაწყვიტეს:

1. „ღია მმართველობა პარტნიორობის“ ადგილობრივი პროგრამის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმა რეკომენდაციებისთვის წარედგინოს ადგილობრივი პროგრამის სამდივნოს და გამოქვეყნდეს ოფიციალურ პლატფორმაზე;

2. „ღია მმართველობა პარტნიორობის“ ადგილობრივი პროგრამის ფარგლებში ვალდებულებების შესრულების საბოლოო ვადა განისაზღვროს 2021 წლის დეკემბერი.

3. 2021 წლის OGP-ის ადგილობრივი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, იურიდიული პირების, სამოქალაქო მრჩეველთა და გენდერის საბჭოს, ასევე, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შეიქმნას საკოორდინაციო მექანიზმი - სამუშაო ჯგუფი და დამტკიცდეს სახელმძღვანელო წესები;

4. მონიტორინგისა და შეფასების მიზნით სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარედ დამტკიცდეს დავით დარჩია, თანათავმჯდომარედ არჩეულ იქნა საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის აღმასრულებელი დირექტორი - ლევან ხინთიბიძე;

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი